

სამოქალაქო მშენებლობა ხორციელდება ყველა დონეზე:

- სახელმწიფო სექტორი: მუნიციპალურიდან – ფედერალურ დონემდე;
- კერძო სექტორი: ცალკეული ბინათმშენებლობებიდან – საერთაშორისო კომპანიებამდე.

სამოქალაქო მშენებლობა ფართო პროფილის პროფესიაა, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა სპეციალური ქვე-დისციპლინების ერთობლიობას. მისი ისტორია კი დაკავშირებულია მექანიკის (მასალათა მექანიკის; სამშენებლო მექანიკის და სხვა), გეოგრაფიის, გეოლოგიის, ჰიდროლოგიის, ეკოლოგიის, მექანიკის და სხვა სფეროების ცოდნასთან. იგი ემყარება ემყარება ფიზიკის და მათემატიკის სამეცნიერო პრინციპებს და მისი განვითარების ისტორია დაკავშირებულია ფიზიკის და მათემატიკის წინსვლასთან.

საქართველოში **სამოქალაქო მშენებლობის** სპეციფიურობა მდგომარეობს იმაში, რომ საქმე გვაქვს სეისმომდებელ მშენებლობასთან, რომელიც არის მრავალდისციპლინური მეცნიერებაზე დაფუძნებული საინჟინრო საქმიანობა, რომლის მიზანია ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება და მატერიალური ფასეულობების გადარჩენა მიწისძვრების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების დროს.

XXI საუკუნეში ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა ეპოქის შესაბამისი შენობა-ნაგებობების მშენებლობა ინოვაციური ტექნოლოგიებით შექმნილი კონსტრუქციული სისტემების და მასალების გამოყენებით. გამოყენებული მასალების სხვადასხვა თვისებებზე, მათი შესწავლის დონეზე, კონსტრუქციების საანგარიშო მეთოდების სიზუსტეზე და შენობა-ნაგებობების დაპროექტების დონეზე დამოკიდებულია ასაგები შენობა-ნაგებობების სიმტკიცე, საიმედოობა, ხანგამძლეობა და მდგრადობა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

პროგრამის კოორდინატორი:
ალექსანდრე შენგელაია
ელ. ფოსტა: alexander.shengelaya@tsu.ge
☎: 877 44 68 00

სასწავლო პროცესის მართვა:
თამარ თათრიშვილი
ელ. ფოსტა: tamar.tatrishvili@tsu.ge
☎: 30 40 70; 877 73 73 87,
თსუ XI კორპუსი, ოთახი 303

**ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**



**ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**საბაკალავრო პროგრამა
„სამოქალაქო მშენებლობა“**



**თბილისი
2010**

სამოქალაქო მშენებლობის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის ათვისებით სტუდენტი მიიღებს აუცილებელ ცოდნას სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაში, გაცნობა ევროკავშირის, აშშ-ს და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების მიღწევებს მასალების ინჟინერიაში; კონსტრუქციებისა და შენობა-ნაგებობების გაანგარიშების მეთოდების შექმნაში და დაპროექტებაში. სურვილის შემთხვევაში ბაკალავრი შეძლებს ჩაერთოს საქმიანობაში, რომელიც მიმართული იქნება იმისკენ რომ ცოდნის სამკუთხედი – განათლება, კვლევა და ინოვაცია მაქსიმალურად განვითარდეს ქვეყანაში და ჰარმონიზებული იყოს ევროპულ სტანდარტებთან მშენებლობის სფეროში.

დასაქმების სფეროები: სამოქალაქო მშენებლობის საბაკალავრო კურსის გავლის შემდეგ შესაბამისი ხარისხის მქონე პირების დასაქმება შესაძლებელია: სხვადასხვა პროფილის სამშენებლო ორგანიზაციებში; საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებებში; საშენი მასალების, ნაკეთობების და კონსტრუქციების მწარმოებელ და შემქმნელ ფირმებში; ქალაქების და დასახლებული პუნქტების მუნიციპალურ სისტემებში.

სამოქალაქო მშენებლობა არის საინჟინრო დისციპლინა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახის ობიექტების პროექტირებას და მშენებლობას შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, გზების, აეროდრომების, არხების, კაშხლების და ესტაკადების ჩათვლით.

სამოქალაქო მშენებლობა ითვლება უძველეს საინჟინრო დისციპლინად სამხედრო მშენებლობის შემდეგ.



გიზის პირამიდა, ეგვიპტე




კოლიზეუმი, 70-80წწ.იტალია



მსოფლიოში ყველაზე გრძელი (3911მ) ხიდი აკაში-კაიკო, იაპონია



მსოფლიოში ყველაზე მაღალი 828მ, შენობა, ბურჯ დუბაი, ა.გ.ე



მსოფლიოში ყველაზე მაღალი თაღოვანი პოლვერის კაშხალი, ა.შ.შ.